აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის

რეგლამენტი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, www.matsne.gov.ge, 25.06.2012 წ., სარეგისტრაციო კოდი: 010190030.51.060.016001) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 57-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.
2. 57^1 მუხლი ამოღებულ იქნეს.

3. 62-ე მუხლის მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8. უმაღლესი საბჭოს წევრი ვალდებულია რეგლამენტით დადგენილი წესით გაიაროს რეგისტრაცია. უმაღლესი საბჭოს წევრს პლენარული სხდომა გაცდენილად ჩაეთვლება, თუ იგი არ გაივლის კენჭისყრის წინ გათვალისწინებულ რეგისტრაციას. ამ პუნქტის მოთხოვნის დარღვევა გამოიწვევს პასუხისმგებლობის დაკისრებას რეგლამენტის 124-ე მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად.“.

4. 112-ე მუხლი ამოღებულ იქნეს.

მუხლი 2

ეს რეგლამენტი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

აფხაზეთის ავტონომიური
რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს
თავმჯდომარე **ჯემალ გამახარია**

17 სექტემბერი 2025 წ.

ქ. თბილისი

N18-ს